

**“სეფსისის პრობლემა კრიტიკული მედიცინის კლინიკებისათვის” (ნაციონალური კონფერენციის მასალები)**

**კ. მუმლაძე, ა. კნიშოვი**

**(კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო)**

**“Problems of Sepsis in Critical Care Medicine Clinics”**

**(Materials of National Conference)**

**K. Mumladze, A. Knishov**

**(Critical Care Medicine Institute, Tbilisi, Georgia)**

2005 წლის 17 აპრილს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში ჩატარდა ნაციონალური კონფერენცია თემაზე – „სეფსისის პრობლემა კრიტიკული მედიცინის კლინიკებისათვის“. კონფერენცია გაიმართა ფარმაცეპტული კომპანია „MSD“ ხელშეწყობით. კონფერენციის მომსახურებლები იყვნენ ექიმები, ასპირანტები, რეზიდენტები, უმცროსი ექიმები და სტუდენტები. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში შესრულებული შრომები. კონფერენციას მსვლელობა მიჰყავდათ პროფესორებს ნ. მახვილაძესა და ნ. ლომთათიძეს.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა ზ. ხელაძემ. წარმოდგენილი იყო შემდეგი შრომები:

- "ციტოკინური „ქარიშხლის“ პრევენციისათვის" ავტორები: ნ.ქაჯაია, თ.ქაჯაია.

ნაშრომში განხილულია სისტემური ანთებითი პასუხის დათრგუნვის შესაძლებლობა ინტერლეიკინ-2 მეშვეობით, სეფსისის პრევენციის მიზნით.

- „დიაგნოზის სირთულენი" ავტორები: ნ.კერვალიშვილი, ე.ქარცივაძე. სეფსისის დიაგნოზის დასმის პროცესი დაყოფილი იქნა ხუთ დონედ: I - დონე გულისხმობს კლინიკური კრიტერიუმების რეგისტრირებას. II - დონეს მიეკუთვნა ორგანოთა დისფუნქციის ნიშნები და ლაბორატორიული კრიტერიუმები. III - დონეს მიეკუთვნა სისტემური ანთებითი რეაქციის მარკერების გამოვლენა – ავადმყოფის პლაზმის მიერ T-ლიმფოციტთა ერითროციტული როზეტების წარმოქმნის რეაქციის დათრგუნვა, C - რეაქტიული ცილის პროკალციტონინის, ინტერლეიკინ - 1, ინტერლეიკინ - 6, ინტერლეიკინ - 8-ს, TNF $\alpha$ -ს განსაზღვრა რაოდენობრივი და ნახევარრაოდენობრივი მეთოდით. IV - დონის კრიტერიუმებს მიეკუთვნა-კვლევის ინსტრუმენტული მეთოდები, ხოლო V - მიკრობთა იდენტიფიცირება – მიკრობიოლოგიური და იმუნოლოგიური მეთოდებით. სეფსისის დიაგნოზის დასადასტურებლად საკმარისია შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: 1) ინფექციის დადასტურება კვლევის ობიექტური მეთოდებით. (რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული და სხვა) 2) დაავადების ორი ან მეტი კლინიკური ნიშნის ერთდროული არსებობა. 3) სისტემური ანთებითი პასუხის არსებობის ლაბორატორიული მაჩვენებელი. მოწოდებული მეთოდები შესაძლებლობას იძლევა სეფსისი დადგინდეს 12-24 საათით ადრე, ვიდრე ეს დღეს ხდება. ამით

კი იქმნება სამკურნალო ღონისძიებების აღრეული დაწყების შესაძლებლობა.

- "პროგნოზის შესახებ" ავტორები: ც.ხარაიშვილი, ლ.ლობჯანიძე. განხილულია ფუნქციური და ორგანული დარღვევების შეფასების (APACH - I, II, III. SAPS, MODS, SOFA და სხვა) შკალა-სისტემები. მათი გამოყენება საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ავადმყოფთა ჰეტეროგენული ჯგუფის დახასიათება და შეფასდეს დაავადების პროგნოზი. ამას აქვს აგრეთვე ორგანიზაციული და ეკონომიური მნიშვნელობა გარდა ამისა, ამ სისტემის დახმარებით, ობიექტურად შეიძლება შეფასდეს ავადმყოფები სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის სხვადასხვა გამოვლინებებით (სეფსისი, მძიმე სეფსისი, ინფექციურ-ტოქსიკური შოკი) და სხვ.
- "რეცეპტები ანტიბაქტერიული თერაპიისათვის – TNM წამყვანი როლი" ავტორი: მ.ჩიკვაძე. მოხსენება ეძღვნებოდა ანტიბიოტიკების გამოყენებასა და მათ დოზირებას, ექსკალაციური და დეექსკალაციური მეთოდების შედარებას და ანტიბაქტერიული მკურნალობის ტაქტიკის სხვა საკითხებს.
- "ქვეცნობიერის მართვა" – ავტორი: თ.ქურციკიძე. განხილულია ქვეცნობიერის მართვის აუცილებლობა კრიტიკულ მდგომარეობათა დროს. ამ მიზნით მოწოდებულია მიდაზოლამის გამოყენება.
- "დროტრეკოგინ აღფას პერსპექტიულობა" – ავტორები: ლ.ბეგიაშვილი, ს. მახარაშვილი. განხილულია დროტრეკოგინ აღფას ეფექტურობა სეფსისით გამოწვეული კრიტიკული მდგომარეობების დროს, მოწოდებული ჩვენებები და წინააღმდეგ ჩვენებები. მოტანილია ამ პრეპარატის მულტიცენტრული კვლევის შედეგები.
- "სხვა მკურნალობა" – ავტორები კ.მუმლაძე, ლ.ურუშაძე, ა.კნიშოვი. განხილულია სეფსისიან ავადმყოფებში მართვითი სუნთქვის განხორციელების ტექნოლოგია. სისხლის მიმოქცევის კორექცია ვაზოპრესორებისა და კარდიომიმეტიკების გამოყენებით. ყურადღებაა გამახვილებული გლიკემიის კონტროლსა და ინსულინოთერაპიაზე, ნუტრიციულ თერაპიასა და ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის მეთოდების გამოყენებაზე.
- "ნანოთერაპიისა და ოქსიტრილის შესახებ" – ავტორი: ზ.ხელაძე. განხილული იყო იმ ახალი თაობის ანტიოქსიდანტების გამოყენების პერსპექტივა სეფსისით დაავადებულთა სამკურნალოდ, რომლებიც ნანოტექნოლოგიის ბაზაზეა შექმნილი.

კონფერენციაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ზ. ხელაძემ. კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისისა და რეგიონების კლინიკების კრიტიკული მედიცინის ექიმები.

On 17 April, of 2005, in the Critical Care Medicine Institute was held out the National Conference, on the theme - " problem of sepsis in the critical care medicine clinics". The conference was organized with an aid of by the pharmaceutical company "MSD". The conference participated by: doctors, aspirants, residents and students. The represented themes were developed and accomplished by Critical Care Medicine Institute. The conference was attended and led by the Professors N. Makhviladze and N. Lomtadze.

Conference was opened by the academician Z. Kheladze. The following themes were represented:

- "Cytokine "storm" for the prevention" - which was devoted to the usage of interleukin - 2, news in this sphere communicate with the development of the oppression of the answer of the system inflammation. It was revealed, that the prevention of sepsis gives the best result, than the treatment. Authors: N. Kajaia and T. Kajaia.
- "The complexities of diagnosis" - the process of diagnosis of sepsis was examined on five levels: I-level is the process of registering the clinical criterion. II-level is intended the signs of the dysfunctions of organs and laboratory criteria. III-level is intended the development of the markers of systemically inflammatory reaction - depression by the plasma of patient, the reaction of erythrocytes rosettes forming cells C - reactive protein or procalcetonine, interleukin - 1, interleukin - 6, interleukin - 8, and TNF $\alpha$  by the quantitative and semi-quantitative method of determination. By the criterio of the IV - level is intended the instrumental method of inspection. To the V - level is the identification of microbe - by the microbiological and immunological methods. For affirming the diagnosis of sepsis completely is sufficient the following criterion: 1) the required conformation of the presence of infection by the objective methods of study (X-rye, ultrasonic, computer-tomography, etc.) 2) Existing together, two or the more clinical signs. The index of existence of systemically inflammatory answer. 3) The methods of diagnostics proposed give the possibility to establish the diagnosis of sepsis 12-14 by hours earlier, how this succeeds now. By these, possibly, it will take early prevention and therapeutic measures, and there will also be grow the probability of the best output. Authors:: N. Kervalishvili and E. Kartsivadze.
- " Prognosis of disease" for prognosing of disease they proposed, the estimated scale of functional disorders - systems (APACH - I, II. SAPS and for evaluating the quality of organ disorders proposed the scale MODS, SOFA The use of objective system for evaluating the heaviness, the possibility to produce stratification of the heterogeneous groups of patients and to estimate the prognosis of disease. This, by it self plays important role in the optimization of the tactics of treatment and in addition to this has economic significance, with the aid of this system, objectively we can estimate other developments of the syndrome of reaction system inflammation the patients (sepsis, heavy sepsis, infectious-toxic shock). Authors: Ts. Kharaishvili end L. Lobzhanidze.
- "Prescription for the antibacterial therapy - TNM leading part" - It wos about the escalation and de-escalation therapy, on use and dosing of the antibiotics. Autor: Maia Chikvaidze.
- "Control of subconsciousness" -, about the role of Midazolam in the treatment of patients with sepsis. Author: T. Kurtsikidze

- "Prospective of Drokrekogine  $\alpha$ " - they proposed to use Drokrekogine  $\alpha$  with the critical state by the caused sepsis, were called the results of the clinical experiments of those connected with the preparation brought use of preparation sharply decreases the lethality, caused by sepsis. Authors: L. Begiashvili and S. Makharashvili.
- "Another type of treatment" - . Authors: K. Mumladze, L. Urushadze and Al. Knishov. It was about the nonapparatus methods of animprovement in the function of respiration in patients with the sepsis, realization of controlled respiration and selection of the regime of the respiration. The correction of the blood circulation, application and dosing vazopresors and cardiomimetics. It was also; we mean the control of glycemia and dosing of insulin therapy, nutritive therapy and the methods of the extracorporeal detoxication.
- "About Nanotherapy and Oxitrel" - was explained the use of antioxidants with the treatment of patients by sepsis. . Authors: Zv. Kheladze.  
Conference was closed by academician Z. Kheladze.  
Conference was conducted to the doctors of Tbilisi and regions.